ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# სალომე ზურაბიშვილი „ერთად საქართველოსათვის“ №48

## ქვეყნის სამსახურში

საგარეო საქმეთა მინისტრი, შეხვედრა ხავიერ სოლანასთან

საგარეო საქმეთა მინისტრი, შეხვედრა კოლინ პაუელთან

2004 წლის 19 მარტს, იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად დავინიშნე, რომელიც ჩემმა წინაპრებმა 83 წლის წინ დატოვეს. ამ ემოციის გადმოცემა შეუძლებელია.

ყველაზე რთული რუსეთთან საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის თაობაზე მოლაპარაკება იყო. გადავწყვიტე, ქართულ ენაზე მელაპარაკა რუსულის ნაცვლად, რომელსაც ყოველთვის იყენებდენ დსთ-ის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. ავაღებინე წითელი ხალიჩა, რომელიც რუსი მინისტრის თბილისში ჩამოსვლის გამო იყო დაფენილი, როცა მან უარი განაცხადა ყვავილებით შეემკო დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ძეგლი. 2005 წლის 30 მაისს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ხელი მოვაწერე ისტორიულ შეთანხმებას საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე.

ჩემი მინისტრობის დროს შეიქმნა „საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების ახალი ჯგუფი“, რომლებიც

საგარეო საქმეთა მინისტრი, გამოსვლა გაეროში

არიან დამხმარე სახელმწიფოები ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხში.

სამწუხაროდ, ჩემთვის ცხადი ხდებოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი, რეფორმების საფარქვეშ, ავტორიტარულ სისტემას აშენებდა. 2005 წლის 19 ოქტომბერს, დავტოვე თანამდებობა. ცხოვრებაში ბრძოლის ახალი ეტაპი იწყებოდა.

გვ-8

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 40 (10285) 22 ოქტომბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.


უფასო პოლიტიკური რეკლამა

## „შემოიარე მსოფლიო იმისთვის, რომ ემსახურო საქართველოს“

**ალიონი..** პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ოზურგეთის მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა.

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის საოლქო ორგანიზაციის წევრები და გურიის გუბერნატორი სოფელ ბახვის და დაბა ნასაკირალის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე ადგილობრივებს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სამომავლო გეგმები გააცნეს და მათ შეკითხვებს უპასუხეს.

**ზურაბ ნასარაიამ** სოფელ ბახვში განაცხადა:

*„ქალბატონ სალომეს საკმაოდ მდიდარი წარსული აქვს და საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მამულიშვილის, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალია. ბატონ ნიკოს ქონდა ასეთი სიტყვები „შემოიარე მსოფლიო იმისთვის, რომ ემსახურო საქარ-თველოს“. დაახლოებით იგივეს პერიფრაზირება მოუწევს ქალბატონ სალომეს. მო-იარა მსოფლიო დიპლომატიური საქმიანობით და დღეს მოდის იმისთვის, რომ გვემსახუროს ჩვენ. ქალბატონი სალომეს წინააღმდეგ როცა დაიწყეს ბრძოლა, ყველაზე შეურაცხმყოფელი ის არის, რომ სამ ყველაზე მნიშვნელოვან წერტილს ურტყამენ. ესენია: ენა, მამული, სარწმუნოება. დაუწუნეს ენა ქალბატონს, რომელიც ემიგრანტების შთამომავლობის მესამე თაობაა. წარმოიდგინეთ მესამე თაობა, რომელმაც განათლება მიიღო აბსოლუტურად არაქართული, დღეს როგორი ქართულით ლაპარაკობს, ხში-რად ურევს სიტყვებს ძველი ქართულიდან და ამ ძველ ქართულს უწუნებენ. როცა საქმე მამულზე მიდგება ამბობენ, რომ დიდი ნიკო ნიკოლაძის და კედიების შთამომავალი, ქალბატონი სალომე მოღალატეა. სიცრუის ტირაჟირებას ახდენენ ქალბატონ სალომეს სარწმუნოების შესახებაც...*

*ევროპული გზა და ორიენტაცია უნდა იყოს საქართველოში და ამავდროულად დავიცვათ ყველაფერი ქართული, ის არაც ჩვენია, საკუთარი, რაც ქართველების და საქართველოს ღირსებაა.*

*ქალბატონმა სალომემ განაცხადა მე დავაბრუნებ სკოლებში დედა ენას და გააკეთებს კიდევაც.“– თქვა ზურაბ ნასარაიამ.*

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 31 ოქტომბერს!

უფასო პოლიტიკური რეკლამა

## „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის გაპრეზიდენტების შემთხვევაში გარანტირებულია ომი რუსეთთან“

თემურ მარშანიშვილი

„ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენელის არჩევის შემთხვევაში, გარანტირებულია ომი რუსეთთან არჩევნების შემდეგ“, – ეს განცხადება, სხვა ყურადსაღებ განცხადებებთან ერთად, პრეზიდენტობის კანდიდატმა ლეიბორისტული პარტიიდან შალვა ნათელაშვილმა 15 ოქტომბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ადგილობრივ ამომრჩეველთან შეხვედრისას გააკეთა.

ამ შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ 28 ოქტომბერს ხალხი დაასრულებს კორუმპირებულ მმართველობას, ბანდიტიზმსა და განუკითხაობას:

„როგორც ოლიგარქმა და ქვეყნის არაფორმალურმა მმართველმა ბიძინა ივანიშვილმა ამოგლიჯა გურიიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ასწლოვანი ხეები და მიითვისა, ასე ამოგლეჯს ხალხი მის კორუმპირებულ მმართველობას 28 ოქტომბერს და დაასრულებს ბანდიტიზმსა და განუკითხაობას“.

ორატორული ნიჭით უხვად დაჯილდოებული ნათელაშვილის აზრით, რომელიც თავს ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნევს, ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა ოლიგარქიული მმართველობის ხელისუფლებიდან მოშორებაა:

„ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად ოლიგარქიული მმართველობის ხელისუფლებიდან მოშორებაში ვხედავ. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში განწირული ვართ მარიხუანიზაციის, კორუფციის, სიცრუისა და მლიქნელობის ტყვეობისათვის. ჩვენ არ დავუშვებთ ამას. ჩვენ გვინდა ისეთი პრეზიდენტი და ისეთი მთავრობა, რომელსაც თვალი და ხელი არ გაეპარება ეროვნული სიმდიდრისაკენ. ჩვენ გვჭირდება ექვთიმისტი პრეზიდენტი, ექვთიმისტი პრემიერი, ექვთიმისტი დეპუტატები, ექვთიმისტი მინისტრები და ექვთიმისტი სახელმწიფო და არა ისეთი, როგორებიც დღეს გვმართავენ, ვაი ამ მართვას და მათი ოცნებები მიპყრობილია მხოლ-ოდ და მხოლოდ მათი საბანკო ანგარიშების, მათი ჯიპების, მათ მიერ დაგროვილი ბიზნესის და ჩვენგან წართმეული მილიარდების გასამრავლებლად და შესამაგრებლად. ყველა უბედ-ურება გვჭირს იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში საუბედუროდ დამ-

გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



**დაინყეთ ყოველი ოხშაბათი აღიონზე**

**«ალიონით»**


# ოზურგეთი-ქაქუთის გზის მშენებლობა დაიწყო

**ალიონი.** სავავახო-ოზურგეთი-ქობულეთის გზის 49-ე 54-ე კილომეტრის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. მას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ტენდერში გამარჯვებული საგზაო კომპანია „ნიუ როალ“ ასრულებს. პირველ ეტაპზე გზის ძველი საფარის აღება მიმდინარეობს.

– ტენდერის პირობების შესაბამისად გზის მშენებლობა თაყაიშვილის ქუჩიდან (მდინარე შუაშკურას ხიდიდან“) დაიწყება და მდინარე ჩოლოქის ხიდსგადაღმა დამთავრდება. პირველ ეტაპზე ასფალტის ძველი საფარია აღება მოხდება, დეფორმაციული ადგილების გამოჭრა, 25 სმ. სისქის საფუძვლის მოწყობა, შემდეგ 18 სმ. სისქის ბეტონი დაისხმება და 9 სმ. სისქის ორი ფენა ასფალტი დაიგება. ტენდერის პირობებით გზის მშენებლობა 9 თვეში უნდა დასრულდეს –გვითხრა „ნიუ როალ“ სამუშაოთა მწარმოებელმა **ბაჩუკი მამალაძემ.**

აღნიშნული გზის მშენებლობაზე 5,3 მილიონი ლარის დაიხარჯება.

# შშმ პირების პრობლემები და საჭიროებები

**მარი კოკოევი**

გასული კვირის პარასკევს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, გაიმართა კვლევის პრეზენტაცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის პირების პრობლემებსა და მათ საჭიროებებს შეეხებოდა.

კვლევა წარმოადგინეს „გორბის“ ანალიტიკოსმა, ლუსი ფინმა და მაკლეინის ასოციაციის წარმომადგენელმა, დიანა ჯანაშიამ.

როგორც განაცხადეს, შესწავლილი იქნა შშმ პირების დემოგრაფიული მონაცემები, დიაგნოზი, სტატუსი, პროგრამაში ჩართულობა, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, ჯანდაცვა და მედიკამენტები. ასევე განათლება და დასაქმება.

**დიანა ჯანაშია:** კვლევის ინსტიტუტი შემუშავდა საჭიროებიდან გამომდინარე „მაკლეინის“ ასოციაცია „ბავშვებისა“ და „გორბის“ მიერ რომელიც არის კვლევითი კომპანია. თავად კვლევა ჩაატარა შეზღუდული შესაძლ-ებლობის მქონე პირების სამმა მშობელმა, რომლებმაც კვლევის ჩატარებამდე გაიარეს ტრენინგ კურსი. ისწავლეს როგორ უნდა მომზდარიყო ოჯახებში შესვლა და ინფორმაციის აღება. მომხსენებლების თქმით, გამოკითხვაში მონაწილეობა 260 შერჩეული ოჯახიდან დაახლოებით 226-მა მიიღო. შემდეგ კვლევის ანალიზი გააკეთა კვლევითმა კომპანიამ „გორბი“. შეხვედრას შშმ პირები, მათი მშობლები, სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სამხარეო ცენტრის უფროსი, თინათინ ლომჯარია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და დეპუტატი, არჩილ თალაკვაძე ესწრებოდნენ.

პრეზენტაციის ბოლოს მცირედი დისკუსიაც გაიმართა.

*„პრობლემები არის, მაგრამ ვიშვიშით და მხრების აჩეჩვით საქმე ვერ მოგვარდება. მს არც ექვსი თვე ან ერთი წელი ეყოფა, მაგრამ როდესმე ხომ უნდა დავიწყოთ?“*- თქვა **არჩილ თალაკვაძემ** და ყველა საკითხი სათითოდ განიხილა. ისაუბრა საჭირო ინფრასტრუქტურაზე, განათლებაზე, დასაქმებაზე. აღნიშნა, რომ მზად არის გაუწიოს დახმარება პროფესიულ გადამზადებაში სპეც. პედაგოგებს რომლებიც სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებს რეაბილიტაციაში დაეხმარებიან. ოზურგეთის მერის მოადგილემ სოციალურ საკითხებში, **ირაკლი სირაძემ** იმ პროგრამებზე ისაუბრა, რომლებიც უკვე ხორციელდება მუნიციპალიტეტში და რაც შეიძლება დაიგეგმოს უახლოეს მომავალში.

**ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲨᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ. ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲢᲔᲚ: 551 57 60 60**


# სამთო სათხილამურო კომპანია “Mountain” კურორტ ბახმაროში სასტუმრო კომპლექსის აშენებას გეგმავს.

ამ მიზნით ჩეხი ინვესტორი მილან ვლასაკი და სამთო სათხილამურო კომპანია “**Mountain**“ დირექტორი შალვა ოქრუაშვილი გურიის გუბერნატორს ზურაბ ნასარაიას შეხვდნენ.

როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათი მიზანია ბახმაროში სასტუმროს აშენება, სადაც დამსვენებლებს, როგორც ზაფხულის ასევე, ზამთრის სეზონზე მიიღებენ.

გუბერნატორმა ინვესტორს კურორტით დაინტერესებისთვის მადლობა გადაუხადა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

„გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ვისაუბრეთ კურორტ ბახმაროს განვითარებაზე და შესაძლო ინვესტიციის განხორციელებაზე. გვსურს რეგიონში მეტი ინვესტიცია ჩაიდოს და მზად ვართ ნებისმიერ ინვესტორს გვერდით დავუდგეთ“- აღნიშნა **ზურაბ ნასარაიამ.**

გუბერნიაში გამართულ შეხვედრას ბახმაროს დირექტორი დავით საჯაიაც ესწრებოდა.

# პროდუქტი ისევ გაძვირდა

## „ფასები იმატებს, თან ყოველდღე“

**მარი კოკოევი**

ოზურგეთელები ამბობენ, რომ პირველადი მოხმარების პროდუქტები გაძვირდა. ფასების ზრდას დოლარის გაძვირებას უკავშირებენ.

„პროდუქტი გაძვირდა, აბა რაი დედა. მაგი არ იცი? ცეცხლი ეკიდება, ცეცხლი“ - მოგვაძახა ქალბატონმა, ბაზარში ფასების გასაგებად შესულებს.

იქვე, **ნათია ვარაძე** ბოსტნეულს ყიდდა. გვითხრა, რომ ნასაკირალიდანაა და სარეალიზაციო ბოსტნეულიდან ზოგიერთი საკუთარი მოწეულიცაა:–„*მე რასაც ვყიდი, ბოსტნეული არაა გაძვირებული მაგრამ სასურსათო მაღაზიებში ფასები მომატებულია.*“

პროდუქტი რომ გაძვირებულია, თვით რეალიზატორებიც გვიდასტურებენ.

**თამილა გალოგრე,** „ჩემი მარკეტის“ მმართველ-მენეჯერი:–„*ყველაფერი იმატებს ყოველდღიურად, აბსოლუტურად ყველაფერი. ზედნადებები მიდევს აქ, ვერ ნახავთ ისეთს, რომ ფასი არ იყოს მომატებული. ფასი იმატებს, თან ყოველ დღე. პური ჯერ არ გაძვირებულა. პური ჩვენ არ გაგვიძვირებია, თორემ ლიტვური და ბათუმის პური შემოდის ჩვენთან- ისინი გაძვირდა. ზეთი, შაქარი, ბოსტნეული ყველაფერს ემატება ფასი. ყოველ დღე არის ცვლილება. ხან ერთ პროდუქტს ემატება ფასი, ხან მეორეს, სისტემატურად.*“

**ზათუნა ლომაძე,** „მოდერნი 2009-ის“ დირექტორი: –„*ჯერჯერობით ჩვენთან ფასები სტაბილურია. მომწოდებლიდან მოწოდებულის ფასის მიხედვით. რომ გადახედოთ ჩვენთან ფასებს, თქვენ თვითონაც ნახავთ, რომ დიდი ცვლილებები არ არის. რაღაც უმნიშვნელოდ არის. თვითონ მომწოდებელს როცა შემოაქვს ძვირად რაიმე პროდუქცია, ამ შემთხვევაში*

*შეიძლება რაღაც იყოს ფასმატება, როგორც ხდება ხოლმე. პირველადი მოხმარების პროდუქტები, მაგალითად, შაქარი, პური არ გაძვირებულა, არც ძეხვეულობა. ფასები გაზრდილია უფრო ძვირიან პროდუქტებზე. ჩვენ საკონდიტროც გვაქვს და პურფუნთუშეულობაც არ გაგვიძვირებია*“.

ფასები ჩვენც მოვიკითხეთ როგორც ოზურგეთის ბაზარში, ასევე შედარებით დიდ მარკეტებში. ფასები ბოსტნეულსა და ხილზე მცირედით გაზრდილია. ფასმატება უფრო თვალშისაცემი სხვა პირველადი მოხმარების პროდუქტებზეა.

ცნობისთვის: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წილი, დაახლოებით 30%, უჭირავს სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებს. სურსათის წილის ასეთი მაღალი მაჩვენებელი დამახასიათებელია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის და მათ ინფლაციებს უფრო მგრძნობიარეს ხდის საკვები პროდუქტების ფასების ცვლილებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სურსათი ხასიათდება მერყევი ფასებით, რაც ფასების საერთო დონის ზრდის ტენდენციის სურათს ამახინჯებს.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება

თქვენ 6 წლის ვადით ირჩევთ საქართველოს პრეზიდენტს

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!
კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

**თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიარეთ მარკირების პროცედურა

**მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

**თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი**

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

**კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილია:

- **უსინათლო ამომრჩევლისთვის** – ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა
- **მცირემხედველი ამომრჩევლისთვის** – გამადიდებელი ლინზა
- **ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლისთვის** – ადაპტირებულ უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა
- **ყრუ და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის** – ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

ცესკოს ვებგვერდი ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ საშუალება აქვს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში განახორციელოს ვიდეო ზარი და ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით.

ვესაუბრებით ამომრჩევლებს!

ცესკო

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

WWW.CESKO.GE
+995 32 2 51 00 51

# „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის გაპრეზიდენტების შემთხვევაში გარანტირებულია ომი რუსეთთან

*კვიდრდა პრინციპი: არ მოიპარავ – საწყალი ხარ, ცოტას მოი-პარავ – დამნაშავე ხარ, დაგიჭერენ, ბევრს მოიპარავ – სახელმწიფო სათავეში ხარ. ეს პრინციპი უნდა შეიცვალოს და დადგეს თავდაყირა, უფრო ზუსტად, სწორად, ვინც არ იპარავს, მას უნდა ჰქონდეს უფლება, მართოს ქვეყანა და აგოს პასუხი ქვეყნის განვითარებაზე“.*

ქვეყნის პირველმა ლეიბორისტმა ყველა უბედურების მაცნედ, საშინელი და ცუდი საქმეების შემოქმედად მოიხსენია ვანო ჩხარტიშვილი:

„ომის დროს, სამკუთხა კონვერტები რომ მიჰქონდა ადრესატებამდე, იმ ფოსტალიონს ეძახდნენ უბედურების მაცნეს, იმიტომ, რომ ფრონტიდან დაღუპვის ცნობები მოჰქონდა. ამ კაცს არა მარტო მოაქვს, არამედ იგი შემოქმედიც არის ამ საშინელი და ცუდი საქმეებისა. დღეს ვიგებთ, (თუმცა ადრეც ვიცოდით), რომ საქართველოს ბედზე, მის განვითარებაზე, ხელისუფლების შეცვლა-არშეცვლის საკითხებზე რუსეთის ხელმძღვანელობა, კონკრეტულად ნარიშკინი, კონსულტაციებს ატარებს არა რომელიმე პოლიტიკოსთან, ან რომელიმე მოაზროვნესთან, არამედ ვანო ჩხარტიშვილთან. ეს ფუნქცია ვანო ჩხარტიშვილისთვის გადაუციათ,“

ნათელაშვილი აცხადებს, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის 24 საათში დაამტვრევს ოლიგარქიულ რეჟიმს ქართულ პოლიტიკაში, რომ მისი პრეზიდენტობა ნიშნავს ოლიგარქის მილიარდების გაყინვას:

*„გახსოვთ თქვენ, როგორ იძლეოდა დაპირებებს იაფ კრედიტებზე, თითო სოფლისთვის 5 მილიონის გამოყოფაზე, გადასახადების ტარიფების შემცირებაზე. ჯერ ერთი, ამ დაპირებების გაცემისას ტყვიაგაუმტარ შუშას რომ ეფარებოდა, აქედან უნდა გაეგო ხალხს, რა კურდღელთან ჰქონდა საქმე. პოლიტიკოსი, რომელიც დადის და წინ შუშა აქვს აფარებული, ის უკვე პოლიტიკოსი აღარაა. კარგად იცით, როგორ ააფეთქეს საყდრისი. აი, იმ საყდრისიდან 5 მილიარდი დოლარის ღირებულების ოქროს მადანი გაიტანეს ისე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში თეთრიც არ შეუტანიათ. ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც 80-იან წლებში თავისი ბიზნესმოღვაწეობა, – თუ ამას ბიზნესი ჰქვია, – დაიწყო ნარკოტიკების გაყიდვით და ის 28 ოქტომბერს დაამთავრებს ნარკობარონის სტატუ-სით.*

*ჩემი გაპრეზიდენტება, მეგობრებო, 24 საათში დაამტვრევს ოლიგარქიულ რეჟიმს ქართულ პოლიტიკაში, ჩემი პრეზიდენტობა ნიშნავს მისი მილიარდების გაყინვას.*

*ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ასევე დამთავრდება ირანიზაცია და თურქეთიზაცია, განათლება ბიუჯეტიდან დაფინანსდება და 41 ათას სტუდენტს აღუდგება სტატუსი, რომელიც დაკარგული აქვთ სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო, დასაქმდება ჩვენი მოსახლეობა და არა მილიარდნახევრიანი ჩინელები.“*

შალვა ნათელაშვილი თავის ვრცელ გამოსვლაში სხვა პრეზიდენტობის კანდიდატებსაც შეეხო:

*„ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენელის არჩევის შემთხვევაში, გარანტირებულია ომი რუსეთთან არჩევნების შემდეგ. „ნაციონალები“ 9 წელი იყვნენ ხელისუფლებაში, შემდეგ გადადგნენ. მე მათ ვურჩევ მინიმუმ ცხარა წელი მოითმინონ, მერე ჩამ-ოყალიბდება მათგან პოლიტიკური ძალა. რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, რუსეთს სჭირდება ისეთი პრეზიდენტი საქართველოში, რომელიც თვითონ აღიარებს აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას. ეს მისია აკისრია ამ ქალს“.*

შეხვედრის მიწურულს დარბაზში ფეხზე წამოდგა ერთი ახალგაზრდა კაცი, ხმაურში კარგად ვერ გავიგონეთ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრად თუ მხარდამჭერად გაეცნო ნათელაშვილს და გაჭიანურებული შესავლის შემდეგ, პრეზიდენტობის კანდიდატს შესთავაზა:–ხომ არ აჯობებდა გაერთიანებულიყვნენ და ერთიანი ძალით ებრძოლათ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

პრეზიდენტობის კანდიდატი საეკლესიო ცხოვრების ასპექტებსაც შეეხო:

*„საქართველოში თავი მოიყარეს ბიზნესმენმა მეუფეებმა, რომლებიც უფრო მეტად თავიანთ ბიზნესზე ზრუნავენ, ვიდრე მრევლის სულიერებაზე. გარდა ამისა, დაყოფილი არიან ძველი და ახალი ხელისუფლების მომხრეებად, მა-გალითად. იმერეთის მეუფე მიშისტია, კახეთისა – ბიძინისტი.“*

ნათელაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ქვეყნის დედაქალაქად გამოცხადდება თბილისი, ხოლო პარლამენტის შენობა აიგება ერგნეთთან:

*„ჩემი გაპრეზიდენტებისთანავე, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს დედაქალაქად გამოცხადდება სოხუმი, რომელზეც პრეტენზია აქვთ ვიღაც აფსუებს, ხოლო პარლამენტის ახალი შენობა აიგება ერგნეთთან და იქ იმუშავებს საკანონმდებლო ორგანო“.*

ნათელაშვილის თქმით, 28 ოქტომბრის შემდგომი საქართველო „პეტრუშკას“, ვაშლისა თუ ყურძნის გაყიდვისთვის არავის დაუჩოქებს:

*„პეტრუშკა“ ვაშლი და ყურძენი რომ გაყიდოს, ამისთვის საქართველო არავის არასდროს დაუჩოქებს. ჩვენ იმდენი შემოსავალი გვაქვს სამ და ოთხ საქართველოს შეინახავს შვეიცარიის დონეზე“.*

ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ მოიგებს ამ არჩევნებს. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში კი მთელ საზოგადოებას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს:

*„ობიექტურ არჩევნებში წარმოუდგენელია სხვა პრეზიდენტის არჩევა. თუ გაყალბებას მოინდომებენ, მთელი საზოგადოება, უკლებლივ უნდა გამოვიდეს ქუჩაში. ეს ვაჟბატონები, იმედია, ისე არ მოიქცევიან, რომ საკუთარ თვითმფრინავებამდე ვერ მიასწრონ მისვლა.“*

# „სვეტიცხოველო – დიდო ტაძარო“

**ალიონი.**„სვეტიცხოველო, დიდო ტაძარო" - მცხეთობა-სვეტიცხოვლობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ლიტერატურული კომპოზიცია შრომის საჯარო სკოლაში გაიმართა.

მონაწილეები სკოლის ლიტერატურული სალონ „ივერიის" წევრები იყვნენ (ხელმძღვანელი: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **რუსუდან ცეცხლაძე**).

თავდაპირველად სკოლის სამლოცველოში ლოცვა აღავლინა **მამა პავლემ (ქინქლაძე).**

შრომის საჯარო სკოლაში რამდენიმე ღონისძიებას დავესწარით და ყოველთვის მოხიბლულნი დავრჩით საინტერესო სცენარით, მოსწავლეთა ცოდნით, მეტყველების კულტურით და მუსიკალურობით. ქალბატონი **ნინო ჩხაიძის** მოსწავლეები ასრულებენ როგორც ხალხურ სიმღერებს, ისე საეკლესიო საგალობლებს.

მცხეთობა-სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი სცენარი კარგად ასახავდა დღესასწაულს კვართისა, საუფლოსა და სვეტისა ღმრთივგაბრწყინებისა და მირონმდინარისა. ქართული ეკლესია საისტორიო ტრადიციების თანახმად, ფლობს ქრისტიანული სამყაროსათვის ყველაზე მნიშვნელოვან და საამაყო რელიქვიას –იესო ქრისტეს კვართს –პერანგს...

სცენარი ბეთლემში ქრისტეს დაბადებით იწყებოდა.

„ელიოზმა შეისყიდა უფლის კვართი იმ მხედრისაგან, რომელსაც წილისყრით შეხვდა იგი და მცხეთაში წამოიღო.სიდონია ტირილით შეეგება ძმას, დედის გარდაცვალება და მისი უკანასკნელი სიტყვები აუწყა. ელიოზმა ჯვარცმის ამბავი მოუყვა სიდონიას და უფლის კვართი უჩვენა. ქალი მოწიწებით ემთხვია კვართს, გულში ჩაიკრა იგი „ხმა იყო ცრემლითა და აღმოუტევა სული“...

„მეფე ადერკის ყურამდეც მიაღწია ამ საკვირველმა ამბავმა. მან იხილა საკვირველი მშვენიერება კვართისა, განიზრახა მისი წაღება, მოინდომა უფლის სამოსით შემოსვა, მაგრამ სიდონიას მკერდზე მიკრული კვართის დასაკუთრება ვერ შეძლო. მცხეთელებმა გადაწყვიტეს -სიდონია კვართთან ერთად დაეკრძალათ“...

„ახლადმოქცეულმა მეფე მირიანმა წმინდა ნინოს სამოთხეში –ბაღში ბრძანა აეშენებინათ პირველი ხის ეკლესია. „სუეტო ნათლისაო ბრწყინველედ განათებულო განაათლე გალობით მვედრებელნი შენნი.“

ამის შემდეგ მოკვეთეს კედარი და მისგან 7 სვეტი დაამზადეს, დაიწყო მშენებლობა და 6 სვეტი აღმართეს კიდეც, მაგრამ მეშვიდე, ყველაზე დიდი, ჰაერში სვეტად აღიმართა და ვერ შეძლეს მისის ადგილიდან დაძვრა. წმინდა ნინომ მთელი ღამე ილოცა მოწაფეებთან ერთად. ლოცვის შემდეგ მოხდა სასწაული: სვეტი გაიფოთლა და მისგან დენა დაიწყო მირონმა, რომელიც „მსწრაფლ კურნავდა“ სნეულთ. სვეტს ეწოდა –„სვეტიცხოველი“ –სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი. აქედან წარმოდგა თვით ტაძრის სახელიც.“

„1010 წელს მეფე გიორგი პირველის და მელქისედექ კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით დაუწყიათ ტაძრის აგება, რომელიც 1029 წელს დაუსრულებიათ.

არსუკიძეა ის ხელოვანი, ვინც შექმნა ტაძართა შორის უპირველესი ტაძარი.

ქართული მწერლობის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ რომანით „დიდისტატის მარჯვენა“ უკვდავყო სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრის სახელი.“

ეს ამონარიდია იმ სცენარისა, რომლის მიხედვით „ივერიის“ წევრებმა ერთი საათის განმავლობაში სხვა სამყაროში გადაგვიყვანეს. ცალკეული სცენები წარმოადგინეს **თომა ჭკუასელმა** (არსაკიძე), **მარიამ ჭაკნელიძემ** (შორენა), **ნინო ხომერიკმა** (წმინდა ნინო), **ინა ჩიქოვანმა** (ნანა დედოფალი), **ბადრი ბარბაქაძემ** (მეფე მირიანი).

საინტერესო რეფერატები წარმოადგინეს მე-12 კლასელებმა, **თამარ კირკიტაძემ** („კონსტანტინე არსაკიძე - დიდი ხელოვანი“), **ქუჯი ბოლქვაძემ** („კონსტანტინე არსაკიძე და გიორგი“).

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: **ანანო გოთუა, ნიკა ჩიქოვანი, თამარ მერაბიშვილი, ანა მაისურაძე, ლანა მიშველიძე**(წაიკითხა ესსე სვეტიცხოველზე), **ლანა ქომეთიანი, ქრისტინა მაკარაძე** (მე-12 კლასი); **მაგდა გაგუა, ლუკა ასანიძე, მარიამ კირკიტაძე, თაკო ქვილორია, ნინო მიქელაძე** (მე-11 კლასი); **თეა ჩხაიძე** (მე-10 კლასი); **ნათია ტყემალაძე** (მე-9 კლასი); **ელენე კვაჭანტირაძე** (მე-8 კლასი).

ღონიძიებაში უმცროსკლასელებიც მონაწილეობდნენ: **ნიკა სუდაძე, ნუგზარ და საბა კაჭარავები, ქეთი მოსახლისშვილი, ლაშა ბარამიძე.**

სიმღერები კი ნინო **მერაბიშვილმა, ვიქტორია აკოფიანმა, თიკო ხომერიკმა** და **ლიზი ჩანჩიბაძემ** შეასრულეს.

# გურული ვეტერანები საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მისაბაძი არიან და სპორტის ინტელექტუალურ და აზარტულ სახეობებშიც არავის

**ალიონი.** ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის გურიის სამმართველოს (ხელმძღვანელი გელა ბაქანიძე) ორგანიზებით გამართული ღონისძიებები მუდამ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. გამონაკლისი, რასაკვირველია, არც 17 აპრილს, ვეტერანთა დღეს გამართული ღონიძება გახლდათ, სადაც მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც მისაბაძი არიან და სპორტის ინტელექტუალურ და აზარტულ სახეობებშიც არავის უდებენ ტოლს.

ჭადრაკში, შაშსა და ნარდში გამართულ შეჯიბრში 40-ზე მეტი ოზურგეთელი და ლანჩხუთელი ვეტერანი მონაწილეობდა. ობიექტური მიზეზების გამო, ღონისძიებაზე ვერ ჩამოვიდნენ ჩოხატაურელი ვეტერანები.

ჭადრაკში შესანიშნავად ასპარეზა ოზურგეთელმა მსახიობმა და მწერალმა **ვეფალ კეჭაყმაძემ,** რომელმაც ქულათა მაქსიმუმით პირველობა არავის დაუთმო და ტურნირისათვის დაწესებული ყველაზე დიდი თასი დასაკუთრა. მეორე ადგილი ლანჩხუთელმა (სოფელი ჩიბათი) **დავით პატარაიამ** მოიპოვა, რომელსაც უმნიშვნელოდ ჩამორჩა ოზურგეთელი მესამე ადგილზე გასული **თენგო დოლიძე.**

ტურნირში გამარჯვებულმა ვეფალ კეჭაყმაძემ თავისი ლექსების კრებული უსასყიდლოდ თავისი ლექსების კრებული უსასყიდლოდ ერეკლე ბოლქვაძეს, ანზორ ბოლქვაძეს, ალეკო ბოლქვაძეს, ბაბა ბოლქვაძეს, ბაბა ბოლქვაძეს, ბაბა

# 151-ე სეზონის პირველი პრემიერა – „სიკეთის ჯადოსნური ძალა“

მეფე – ზაზა ჯინჭარაძე; უფლისწული გიორგი დოლიძე

15 ოქტომბერს, გურიანთის კულტურის სახლში, რომელიც ამჟამად და დროებით ოზურგეთის თეატრის მთავარ სამოქმედო სივრცედ არის გადაქცეული, მორიგი, ხოლო ოზურგეთის თეატრში 151-ე სათეატრო სეზონის პირველი პრემიერა შედგა!

„სიკეთის ჯადოსნური ძალა“ - ასე ჰქვია მუსიკალურ-დრამატულ სპექტაკლს, რომელიც ლალი თაბაგარის სცენური ვერსიით დაიდგა კლასიკოსი მეზღაპრის შარლ პეროს „კონკიას“ მიხედვით.

დამდგმელი რეჟისორია ვასო ჩიგოგიძე, ხოლო თანარეჟისორი ლალი თაბაგარი. სპექტაკლზე მუშაობდნენ: მხატვარი - ლომგულ მურუსიძე, ქორეოგრაფი - მარიკა ქვეითაია, მუსიკალური გამფორმებელი - გოგა მახარაძე, რეჟისორის ასისტენტია მაკა მამულაიშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობენ ოზურგეთის თეატრის მსახიობები - ნინო ჯულელი, ანი გოდერძიშვილი, ვერიკო ხუხუნაიშვილი, ლევან საღინაძე, თამარ მდინარაძე, თეა კეჭაყმაძე, შორენა გვეტაძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, გიორგი დოლიძე, ზაზა ჯინჭარაძე, გენადი ნიკოლაიშვილი, კობა ახალაძე, მარგარიტა ავაქიანი, ნელი ბასილაშვილი.

სპექტაკლში შედგა მსახიობის გიორგი ჩავლეშვილისა და თეატრის სტუდიელების - შორენა სიხარულიძის, გიორგი თავართქილაძისა და მარიამ გუჯაბიძის სასცენო დებიუტი. სპექტაკლში გამოყენებულია პროექცია, რომელიც სპექტაკლის უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ კომპონენტად იქცა.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატის ვასო ჩიგოგიძის შეფასებით სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო:

–„გრძელდება პროექტი „სკოლა და თეატრი“, რომლის ფარგლებში წელს უკე მესამე ზღაპარი დავდგით. დარბაზში მსხდომი პატარა ანგელოზების რეაქციების მიხედვით სპექტაკლი შედგა. ვულოცავ მთელ სადადგმო ჯგუფსა და მსახიობებს.“

მსახიობი ანი გოდერძიშვილიც პატარა მაყურებლების დიდ ინტერესზე საუბრობს:

„ – პარტერში ცალკე ჯადოსნური სამყარო იყო შექმნილი, მათ ირწმუნეს სიკეთის ძალა“. – გვითხრა მან.

პროექტის ფარგლებში „სკოლა და თეატრი“, სპექტაკლს ოზურგეთის თითქმის ყველა სკოლა ნახავს.

**ლია კილაძე,**
თეატრის პრესსამსახურის უფროსი.

გიორგი ჩავლეშვილი, (დებიუტანტი, მსახიობი) კობა ახალაძე (მსახიობი); გიორგი თავართქილაძე დებიუტანტი, სტუდიელი)

# ქართული ლექსის ბენეფისი ოზურგეთში

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას პოეზიის საღამოები არ უკვირს, მაგრამ 15 ოქტომბრის ღონისძიება, ალბათ, იმით იყო გამორჩეული, რომ დედაქალაქიდან სტუმრად ჩამობრძანებულმა პოეტებმა – ბელა ალანიამ, მაია ხოფერიამ, თემურ ცერცვაძემ და გუჯა ღებელმა ქართული ლექსის ნამდვილი ბენეფისი მოაწყვეს დამსწრე საზოგადოებისთვის.

სხვა თემაა, მაგრამ, მართალი გითხრათ, ცოტათი გამაოცა და გამაკვირვა კიდეც ღონისძიების დასაწყისში სტუმრების მიერ „ცოცხალი წიგნების“ ორგანიზატორთა მისამართით გამოთქმულმა რეპლიკამ: „... კარგია, რომ რეგიონებში ჩადიან და ხალხს ხვდებიან, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, რა ნიშნით არჩევენ მწერლებს, მით უფრო, რომ ჩვენც მწერალთა კავშირის ისეთივე წევრები ვართ, როგორც ისინი...“

რასაკვირველია, ღონისძიებაში მონაწილე პოეტების ნამუშაკარი ცალკე მიმოხილვის, უფრო სწორად, ხოტბის საგანია, რასაც, თუ არ გაკეთებულა, აუცილებლად გააკეთებენ ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები, მე კი, თუ კომპეტენტურობა ამითავდა, თითო მომცრო აბზაცით შემოგთავაზებთ ჩემეულ ხედვას მათ შემოქმედებაზე:

**ბელა ალანიას** ლირიკა, რომელიც პირველი ლექსებიდანვე თბილად მიიღო მკითხველმა, დღეს უფრო ქათქათა, მგრძნობიარე და მიმზიდველი გამხდარა. რაც შეეხება საღამოზე წაკითხულ მის რამდენიმე პროზაულ ნაწარმოებს, აქაც სულში ჩამწვდომად იღვრება ქალური მშვენიერებით შეკმაზული დალოცვილი ქართული სიტყვა ავტორისეული ტკივილითა და სიხარულით.

**მაია ხოფერია** ის პოეტია, რომელსაც თანამედროვე ქართულ პოეზიაში ახალი სათქმელი არასოდეს გამოელევა მის უდიდებულესობა სიყვარულზე. ისმენ, კითხულობ, შედიხარ მის მშვენიერ სამყაროში და გამოსვლა აღარ გსურს. გინდა, შენაც ისე შეიყვარო, შენაც ისე განიცადო, როგორც შეიყვარა და განიცადა ავტორმა – სპეტაკად, უსაზღვროდ, უკიდეგანოდ...

**თემურ ცერცვაძე,** ვისი ბოლო წიგნიც ახლა ჩემს სამუშაო მაგიდაზე ძევს, ის იშვიათი შემოქმედია, ვისაც არ სჭირდება სიტყვისა და რითმის ძიება, ორივე თავისთავად, ჰარმონიულად მოდის. ამიტომაც დანავარდობს ასე ლაღად მისი ლექსი. უფრო ქალაქურის (თბილისურის) შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მხოლოდ ქალაქურს (თბილისურს) არ ეკუთვნის საბედნიეროდ.

**გუჯა ღებელის** ლექსი მთიდან მოქროლილ ქარს მაგონებს, რომელიც სანამ ნიავია, გელამუნება, მამშვიდებს, მაგრამ გრძნობ, რომ დიდხანს არ გასტანს ასე, მალე ქარიშხლად აბობოქრდება და კუნჭულ-კუნჭულ, ძალუმად დაივლის სულის სანახებს. რაც შეეხება მის ლექსს „მიყვარხარ ადამიანო“, რომელიც ამ ღონისძიების ერთგვარ გვირგვინად იქცა, როგორც შედევრს, აუცილებლად შევიტანდი ახალი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

**თემურ მარშანიშვილი**

## ვულოცავთ

# გურიაში პირველი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში შალვა ჩინოიანი 80 წლისაა



28 ოქტომბერს 80 წლის გახდება გურიაში პირველი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში შალვა ჩინოიანი.

ფეხბურთი სკოლის პერიოდში შეიყვარა. თამაშობდა ქ. ოზურგეთის №4 საშუალო სკოლის გუნდში. 1957 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. ავტოკატასტროფამ იგი მალე აქტიურ ფეხბურთს ჩამოაცილა.

ფეხბურთის სიყვარულმა კვლავ საფეხბურთო მოედანზე დააბრუნა, – ამჯერად მსაჯის ამპლუაში. თავდაპირველად რესპუბლიკური ჩემპიონატების მატჩებში მსაჯობდა. 1967 წელს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა და უკვე საკავშირო პირველობის მატჩებზე იწვევდნენ. არაერთი მატჩი იმსაჯა საკავშირო პირველობებზეც.

მსაჯობის შემდეგ მას ცალკეული მატჩების კომისრად ნიშნავდნენ.

დღეს შალვა ჩინოიანი ქართული ფეხბურთის აქტიური გულშემატკივარია და როგორც „ცოცხალი ენციკლოპედია“ ოზურგეთის ფეხბურთის ყველა ნიუანსს იხსენებს.

ვულოცავთ ბატონ შალვას იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

**მეგობრები..**

# გიორგი თოხაძემ ვერცხლი აიღო




არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში გამართულ ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა ოქროსა და ვერცხლის მედლების მოპოვება მოახერხეს.მათ შორის იყო **გიორგი თოხაძე,** რომელმაც 51 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზა.

გიორგი თოხაძემ თოხაძე გადამწყვეტ შერკინებაში იაპონელ ვატარუ სასაკისთან დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა

# მსოფლიო ჩემპიონატში 2 ოზურგეთელი იასპარეზებს

23-28 ოქტომბერს უნგრეთში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრებში ორი ოზურგეთელის შეყვანილი: 60 კგ.წონით კატეგორიაში **დავით ჩხარტიშვილი**; 72 კგ. წონით კატეგორიაში –**გიორგი ხუჭუა.**

საქართველოს ნაკრები უნგრეთში 23 ოქტომბერს გაემგზავრება. ჩვენი ნაკრები ჩემპიონატში 25 ოქტომბერს ჩაებმება. საპრიზო სამეული კი 26-28 ოქტომბერს გამოვლინდება.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მოჭიდავეებს!

# ჩოგბურთში მუნიციპალიტეტის ჩემპიონი დავით სიამაშვილია



16 ოქტომბერს დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჩოგბურთო ჩემპიონატი. ტურნირს სპონსორობა გაუწია კომპანიამ შპს „თეთრი წყალი“. .ფინალის წინ საჩოგბურთო სკოლას ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატისა და საქართველოს პარლამენტის წევრის არჩილ თალაკვაძის შეპირებული ახალთახალი ჩოგბურთის ბადე გადაეცა..

.ფინალურმა მატჩმა , **გივი სიამაშვილსა** და მოქმედ ჩემპიონს, **დავით გოგოტიშვილს** შორის ქალაქში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. გადამწყვეტი მატჩის მსაჯობა თავის თავზე აიღეს საჩოგბურთო სკოლის გამოცდილმა მწვრთნელებმა, მამუკა კილაძემ და დავით თავართქილაძემ. .რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, დასაწყისში, დაძაბულობიდან გამომდინარე, სიამაშვილს არ წაუვიდა დარტყმები, მან წააგო პირველივე გეიმი საკუთარ მოწოდებაზე და მეორეში 0- 40 ზე ჩამორჩა მეტოქეს,მაგრამ დავით გოგოტიშვილმა ვერ გამოიყენა სეტში 2-0 ზე კომფორტულად დაწინაურებისა და ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვების მეტად კარგი მომენტი, რამაც მთლიანად შეცვალა მატჩის სურათი, სიამაშვილმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ თავად მოახერხა ნერვების დამწყვეტი, მაგრამ მნიშვნელოვანი გეიმების მოგება, მოიგო პირველი სეტი და მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარც მეორე სეტში გაუშვა, საბოლოოდ 6-1, 6-1 და დავით გოგოტიშვილი ამჯერად ვიცეჩემპიონის ტიტულს დასჯერდა.ოზურგეთის საჩოგბურთო ტურნირებზე ეს მისი მესამე ვერცხლის მედალია.

ფინალისტებს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები სასპორტო სკოლის დირექტორმა **გოჩა კვირჩილაძემ** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა გადასცეს. დაჯილდოვდა ასევე ტურნირის მონაწილე ერთადერთი გოგონა, ოზურგეთის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე და საჩოგბურთო სკოლის აღსაზრდელი **დაკა სადრაძე**, ჩემპიონატში ღირსეული გამოსვლისათვის. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის თეატრის დირექტორის, **ზაზა ჯინჭარაძის** მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი გადაეცა ასევე დავით გოგოტიშვილს .უმთავრესმა საჩოგბურთო ტროფეიმ, ოზურგეთის „გრანდ სლემმა“ კი ამჯერად გეზი „ჰექტორ პარკისკენ“ აიღო.

# ანასეულის წყალსადენზე ტენდერი 30 ოქტომბრამდე გამოცხადდება

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გვატყობინებენ, ანასეულის წყალმომარაგების სისტემის პროექტზე ტენდერი 30 ოქტომბრამდე გამოცხადდება, 2019 წლის მაის-ივლისში კი ობიექტის მშენებლობა დაიწყება.

# მადლობა

**მანანა მგელაძე:** ჩემი ამბავი მინდა მოგიყვეთ და მადლობა გადავუხადო ოზურგეთის „მედალფას“ სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს. 24 აგვისტოს მივიღე მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა. ორ დღეში ოპერაცია გამიკეთა ბათუმიდან ჩამოსულმა ექიმმა. ყველას სათითაოდ მინდა ვუთხრა მადლობა: კლინიკის დირექტორს, **დავით მდინარაძეს,** მის მოადგილეს, **ქეთინო ღლონტს**, ჩემს მკურნალ ექიმს, **თამარ ტაბატაძეს,** ყველა სანიტარს, ექთანს, განსაკუთრებით **ასმათ შაქარიშვილს,** რომელიც დღემდე დადის ჩემთან ბინაზე და გადახვევებს მიკეთებს. კლინიკიდან გამოწერის შემდეგაც მოდიოდნენ და კითხულობდნენ ჩემს ამბავს. ყველას დიდი მადლობა ჩემდამი გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღებისთვის, რომელმაც გადამატანინა მძიმე დღეები.

**მანანა მგელაძე.**

# სკანვორდი






## № 39-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მურმან ლებანიძე; ქალის სახელი — ირინა; შინაური ფრინველი — იხვი; ერთიანი ნარდში — იაქე; ბრაზილიელი ფეხბურთელი — ნეიმარი; შეძახილი — იმე; „დინამოს“ ყოფილი მარჯვენა გარემარბი — მეტრველი; შვილის ქმარი — სიმე; სამკურნალო წყალი –ნუგელა; პირველი პირის ნაცვალსახელი — მე; ბალახი ბებუას წვერებით — ბებუაწვერა; სპორტის სახეობა — ბეისბოლი; 29-ე ასობგერა — წ; ტოლი — რუბეროიდი; ერთ-ერთი ერისთავი — ნერსე; მდინარის თევზის სახეობა — წვერა; წვრილი მაკარონი — ვერმიშელი; თვითმფრინავის სადგომი — ანგარი; ღვინის სათავსო — მარანი; გენიალური რეჟისორი — ჩაპლინი; დათვის ნაშიერი — ბელი; უძველესი სახელმწიფო — ურარტუ; მუსლიმთა რელიგიური დღესასწაული — რამაზანი; ბავშვის საწოლი — აკვანი; ბეგარა — ღალა; თივის გროვა — ზვინი; სოლო პარტია — არია; შაქრის მწარმოებელი დაბა — აგარა; მტაცებელი ფრინველი — ორბი; მუნიციპალიტეტი იმერეთში — ხონი; ცხვრის ვეოგი — ფარა; გაზაფხულის ყვავილი — ია; ადმინისტრაციული ერთეული — რაიონი; კაენის ძმა — აბელი; სანახობა — სერი; საგზაო ნაგებობა — ხიდი.

# ვინ ვერ აიღებს სესხს პირველი ნოემბრიდან?

## "ათიათასობით ადამიანი დაიძვრება კერძო მევახშეებისკენ"

პირველი ნოემბრიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი სესხს ვეღარ აიღებს. ვინ მოჰყვება შეზღუდვაში? ძირითადად ესენი არიან მოქალაქეები, რომლებსაც თანამსესხებელი თავისსავე ოჯახიდან არ ეყოლებათ, უკვე აქვთ მიმდინარე სესხი და ის კატეგორია, რომელთა გადამხდელუნარიანობის ანალიზი ჩატარებული არ არის. კრედიტს ვერც ის გაეკარება, ვისაც ერთზე მეტი საცხოვრებელი არა აქვს.

რაც ასევე მნიშვნელოვანია, იცვლება სესხის მოცულობის დონე და იგი მსესხებლის შემოსავალთან მოვა შესაბამისობაში. კერძოდ, თუ კი პირს 1000 ლარამდე შემოსავალი ერიცხება, 200 ლარზე მეტ თანხას ვერ აიღებს. სესხის მოცულობა შემოსავლის შესაბამისად მატულობს, თუმცა უდავოა, რომ მსესხებელთა კატეგორიას უამრავი ადამიანი მოაკლდება. სპეციალისტების ვარაუდით, მოსალოდნელია, რომ მათი რიცხვი განახევრდეს, მინიმუმ კი, 40%-ით შემცირდეს.

ბანკების ასოციაციის წარმომადგენელი **ალექსანდრე ძნელაძე** ფიქრობს, რომ ქვეყანაში საკრედიტო პოლიტიკა საგრძნობლად შეიცვლება.

"ცვლილება ბაზარზე სხვადასხვა მიმართულებით არის მოსალოდნელი. შეიძლება განახევრდეს იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ახლა შეუძლია სესხის აღება. ცხადია, ბევრი მათგანი 1-ლი ნოემბრიდან ვერ მიიღებს თანხას, ასეთი კი მსესხებელთა დაახლოებით 40%-ია. საკრედიტო პორტფელის შემცირებას ველოდები, მაგრამ ამ მიმართულებით განახევრება აშკარად გადაჭარბებული ნათქვამია.

საბანკო სექტორისთვის სესხები ძირითადი მიმართულება არ არის და პრობლემა მისთვის დროებითია. ერთბაშად რამდენიმე წესი იქნა შემოღებული, რაც საკრედიტო პოლიტიკას მნიშვნელოვნად შეცვლის. ცნობილია, რომ პირველი ნოემბრიდან სიახლე შეეხება კომერციულ ბანკებს, ხოლო მომავალი წლიდან არასაბანკოებსა და სესხების გამცემ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებზეც გავრცელდება. უფრო რთული იქნება ეს პროცესი მიკროსაფინანსოებისთვის, მაგრამ არა იმ ნაწილისთვის, რომელიც ბიზნესსესხებზეა ორიენტირებული, თუმცა გარკვეული უარყოფითი ეფექტი ექნება", - აცხადებს "ბიზნეს-რეზონანსთან" ძნელაძე.

როგორც საბანკო სფეროს სპეციალისტი, "საზოგადოება და ბანკების" წარმომადგენელი ანი ალიბეგაშვილი ამბობს, გარკვეული პრობლემა ექმნებათ არა მხოლოდ მცირეშემოსავლიანებს, არამედ საშუალო და დიდი შემოსავლის მქონე ფიზიკურ პირებსაც, რამდენადაც სესხი ლიმიტირებული იქნება.

"რეგულაციაში ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ იცვლება სესხის მოცულობის მაჩვენებელი, რაც გულისხმობს, რა თანხა შეიძლება მიმართოს ფიზიკურმა პირმა სესხის დასაფარად. აქამდე ეს შიდა საბანკო პროცედურა იყო, მაგრამ ახლა ეროვნული ბანკი მკაცრად გააკონტროლებს და მიუთითებს ბანკებს იმ მაქსიმალურ თანხას, რითაც შეიძლება თითოეულმა მომხმარებელმა შემოსავლის მიხედვით ბანკს ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიმართოს.

შემოსავალი დაიყოფა სხვადასხვა კატეგორიად - 1000 ლარამდე, 1000-დან 2000 ლარამდე და ა.შ. ეს ცვლილება შეეხება მომხმარებლების ყველა ფენას, როგორც დაბალი, ასევე საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პირებს. მათთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა იქნება ბევრად უფრო შეზღუდული.

წინასწარ მიჭირს პროგნოზი, მაგრამ ფაქტია, რომ ჭარბვალიანობის ახალი შეფასების კრიტერიუმს უკვე ვეღარ დააკმაყოფილებს სესხით მოსარგებლე მომხმარებლების უმეტესობა. დღეს თუ 1000-ლარიანი შემოსავლის მქონე მსესხებელს 350 ლარის გადახდის საშუალება ჰქონდა, ნოემბრიდან უნდა შემცირდეს ეს თანხა 200 ლარამდე. დათმობაზე თუ არ წამოვიდა სებ-ი და ხელშეკრულებაში ცვლილება თუ არ შევა, მომხმარებელი პარალელური სესხის აღებას ვერ შეძლებს.

ეს თავისთავად გულისხმობს, რომ სასესხო პორტფელი მნიშვნელოვნად შემცირდება, სავარაუდოდ, 20-დან 45%-ის ფარგლებში. ესეც უხეში გათვლით. საბოლოოდ მისი მოცულობა დამოკიდებულია რეგულაციასა და ახალი დებულების ამოქმედებაზე, რომელსაც საბოლოო სახით წარადგენენ", - ამბობს ალიბეგაშვილი.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეროვნული ბანკის რეგულაცია, მომხმარებლების დაცვის ნაცვლად, ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს.

არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელ ირაკლი ბერძენაძის შეფასებით, სამომხმარებლო სესხები განახევრდება, ხოლო იპოთეკური სესხების მოცულობა თითქმის 70%-ით შემცირდება. იგი საუბრობს მსესხებლების სხვადასხვა კატეგორიაზეც, რომელთაც მომდევნო თვიდან სესხის აღება ეზღუდებათ.

"1-ლი ნოემბრიდან სესხს ვერ აიღებს ის ადამიანი, რომელსაც უკვე აქვს სასესხო ვალდებულება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მას თავდებობა ოჯახის წევრმა უნდა გაუწიოს. დაბანდების პრობლემაც აუცილებლად იქნება. გამოდის, რომ თუ დღემდე კრედიტის ხელმისაწვდომობა ხალხს ჰქონდა, ნოემბრიდან მოთხოვნა იქნება, მაგრამ ადამიანი სესხს ვერ აიღებს. უნდა ჩავთვალოთ, რომ უამრავ დარგს შეუქმნის პრობლემას, რეგულაცია ჭარბვალიანობის შემცირებას ითვალისწინებს, მაგრამ, რეალურად, ეს არის მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება", - ამბობს "ბიზნეს-რეზონანსთან" ბერძენაძე.

მისი თქმით, დაკრედიტება შემცირდება, მაგრამ მსესხებლები მაინც მონახავენ ალტერნატივას და გადაინაცვლებენ შავ ბაზარზე.

"შავ ბაზარზე დღეს რაც ხდება, გასაგებია, მევახშეები ჯერ კიდევ აგრძელებენ საქმიანობას და ხალხს მათი ბიზნესის გამო სერიოზული პრობლემა აქვს. ახლა მსესხებლები სწორედ მევახშეებისკენ გადაინაცვლებენ. ცხადია, რომ სახელმწიფო უხეშად ჩაერია ბაზარზე და ამ რეგულაციით უამრავ ადამიანს შეუქმნა პრობლემა. ფაქტობრივად, სებ-მა განუსაზღვრა ადამიანებს, რამდენი აიღონ სესხი ან თუ არ აქვთ დადასტურებული შემოსავალი, არ იყიდონ ბინა და სხვა.

რეალურად, ეს არის ძალიან უხეში ჩარევა, რაც ათიათასობით ადამიანის მდგომარეობას დაამძიმებს. სამომხმარებლო სესხები, შესაძლოა, განახევრდეს, ხოლო იპოთეკური სესხების მოცულობა თითქმის 70%-მდე შემცირდება, მეტად თუ არა. გასათვალისწინებელია, ასევე, რომ ახლა მოდის სეზონი, როცა სესხი ყველაზე მეტად სჭირდებათ. შესაბამისად, მასზე ხელმისაწვდომობა გართულდება, რის გამოც ხალხს სერიოზული პრობლემა შეექმნება", - ამბობს ბერძენაძე.

შეგახსენებთ, რომ "ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ" ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ახალი რეგულაციის ნაწილი პირველი ნოემბრიდან ამოქმედდება. დებულების თანახმად, რეგულაცია კომერციული ბანკებისთვის - პირველი ნოემბრიდან, ხოლო სესხის გამცემი სხვა სუბიექტებისთვის 2019 წლის იანვრიდან შევა ძალაში.

**მარი ჩიტაია**
resonancedaily.com

# სულთათანა
# სოსო ბურჭულაძის ხსოვნას



სოსო (იოსებ) თეოფილეს ძე ბურჭულაძე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დაიბადა 1940 წლის 14 სექტემბერს, ანასეულში.

1963 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ჩაის და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილებაში მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო და 1995 წელს სადოქტორო დისერტაციები. 2001 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. წლების განმავლობაში მუშაობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ამიე-რკავკასიის ფილიალში; სოფლის მეურნეობის აგრომომსახურების ცენტრალურ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ; მეცხოველეობისა და საკვებმოპოვების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1992 წლიდან გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციების კურსს გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაზე ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იოსებ ბურჭულაძემ პირველმა შეისწავლა და დაამუშავა სუბტროპიკული კულტურების კვების დიაგნოსტიკის მეცნიერული საფუძვლები და პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობები.სოსო ბურჭულაძის გამოქვეყნებული 100 მეტი სამეცნიერო ნაშრომი ემსახურება აგროქიმიური სამსახურის განვითარებას, კვლევების მეთოდების სრულყოფას და ზოგადად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას. სოსო ბურჭულაძე წარმოადგენდა საქართველოს აგროქიმიურ სკოლას საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკურ და სხვა სამეცნიერო ფორუმებზე.

სოსო იყო უაღრესად მოკრძალებული, თავმდაბალი. იგი გაიზარდა მოსამსახურის ოჯახში, მამა თეოფილე ბურჭულაძე ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, აგროქიმიკოსი; დედა – ქეთო თავდუმაძე დამსახურებული ექიმი.; ბიძა – ერემია ბურჭულაძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ვისთანაც სტუდენტური წლები გაატარა. ამ ავტორიტეტებით თავმოწონება, ან პირად საქმეში გამოყენება სოსოს არასდროს უცდია. სოსო იყო შრომისმოყვარე, მიზანდასახული, განათლებული, მეგობრული და ერთგული, ლამაზი იუმორის გრძნობით.უყვარდა ანასეული- დიდი გაგებით,. საქმე – რომელსაც ემსახურებოდა, მშობლიური ინსტიტუტი, კოლეგები. .სოსო იყო უბოროტო და კეთილი, უშურველი. ხშირად დახმარებია ნათესავებს მიუხედავად თავისი შეჭირვებული ეკონომიური შესაძლებლობისა. მისი ცხოვრების ხვედრი მძიმე, რთული, პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი და ტკივილიანი გზა იყო – რომელსაც უკვალოდ არ ჩაუვლია, დიაბეტით მძიმედ დაავადდა. ბოლო წლებში უკვე ბრძას, მაგრამ საღი აზროვნებით, ცხოვრებისადმი ინტერესი არ დაუკარგავს, ბოლომდე ოპტიმისტი დარჩა, არ გატეხილა. გარდაიცვალა 2017 წლის 28 ოქტომბერს.

სოსო ბურჭულაძე, პიროვნება უზომოდ კეთილი და მართალი, საყოველთაო პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა და ასეთად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

**მეგობრები,**

ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი. ანასეული.

# ნანა ჩხაიძის ხსოვნას

70 წელი შეგისრულდებოდა 21 ოქტომბერს, ჩემო ნანა. დრომ ვერ განკურნა უშენობით მიყენებული ტკივილი. თვალცრემლიანი ვხდებით შენს დაბადების დღეს შენი ერთადერთი შვილი გოჩა, შენი შვილიშვილები: გიორგი, ანრი და მუდამ შენი თვალცრემლიანი მეუღლე ანზორი.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული, ჩვენო მონატრებულო ნანა.

**ანზორ გა გოჩა**
**ლოლიძეები.**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს მელექედურის საჯარო სკოლის პედაგოგს ნინო ბიბინეიშვილს დედის, ვაკიჯვრის სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **ნათელა სიამაშვილის** გარდაცვალების გამო.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# სალომე ზურაბიშვილი „ერთად საქართველოსათვის“ №48

## ბრძოლა სამართლიანობისათვის

იპოდრომი

ბრძოლა არ შემიწყვეტია, რადგან ვთვლი, რომ ადამიანი უსამართლობას არ უნდა შეეგუოს. მთავრობის წევრობიდან ოპოზიციაში გადავედი, რათა მებრძოლა სამართლიანობისთვის, დემოკრატიის გადარჩენისთვის. მიუხე-დავად უამრავი წინააღმდეგობისა, საფრანგეთში საცხოვრებლად დაბრუნება არც მიფიქრია. ისტორიული უსამართლობის გამო, ისედაც დიდი ხნის განმავლობაში არ მქონდა სამშობლოში ჩამოსვლის და მის სამსახურში ჩადგომის შესაძლებლობა. გადავწყვიტე, ცხოვრების დარჩენილი ნაწილი საქართველოს უკეთესი მომავლის შენებისათვის მიმეძღვნა.

ჩემი წინაპრებისგან ასეთი ხასიათი მერგო - არასოდეს ვნებდები ბედს, არასოდეს ვუშინდები წინააღმდეგობას. სწორედ ჩვენს მიერ დაწყებული ბრძოლა სამართლიანობისთვის დააგვირგვინა წარმატებით „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს.

ბრძოლა სამართიანობისთვისს

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მივიღე, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა და გავიმარჯვე. გავხდი საკანონმდებლო ორგანოს წევრი, რაც ჩემთვის განსაკუთრებული სიამაყის საფუძველი იყო.

## პირობა წინაპრების, ქვეყნისა და მომავლის წინაშე

სალომე ზურაბიშვილი მეუღლესთან, ჯანრი კაშიასთან ერთად

საქართველო აუცილებლად ტიპის ქვეყანა, სადაც არის იქნება ძლიერი, ევროპული ერთიანობა, სიმშვიდე და შემწყნარებლობა. ეს არის ის, რაზეც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები! ესაა ის, რაზეც ოცნებობს თითოეული თქვენგანი! ჩვენს სამშობლოს უნდა ვესახურო, სანამ შემიძლია ? ესაა ჩემი როლი ამ ცხოვრებაში!

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენი მხარდაჭერით, გავხდე საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც იქნება საზოგადოების გამაერთიანებელი, მედიატორი ხალხსა და ხელისუფლებას შორის!

შვილები - თეიმურაზი და ქეთევან

მჯერა, რომ მოვიპოვებ თქვენს ნდობას და ვიქნები თქვენს მიერ არჩეული საქართველოს პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი!

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

## ვულოცავთ!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ავთანდილ გუნიას სახელობის ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საქველმოქმედო კვლევების საზოგადოებრივმა აკადემიამ თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ქალბატონ **მარინა ჩხარტიშვილს** საპატიო აკადემიკოსის წოდება მიანიჭა.

*„ქალბატონ მარინა ჩხარტიშვილს! თქვენი უნიჭიერესი მოღვაწეობის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ მოგენიჭათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა– გუნიას სახელობის ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საქველმოქმედო კვლევების საზოგადოებრივი აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება.*

**რევაზ ლორთქიფანიძე.“**

აკადემიის დამფუძნებელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

## ჯემალ კეჭაყმაძე - 78
## თეატრში მოღვაწეობის - 60 წელიწადი

## მსახიობი საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ევტროფი თალაკვაძის სახელობის ჯილდოთი დაჯილდოვდა

19 ოქტომბერს, 78 წლის და სასცენო მოღვაწეობის 60 წლის იუბილეებთან დაკავშირებით მსახიობ ჯემალ კეჭაყმაძეს გადაეცა საქართველოს თეატრალური საზოგადოების „ევტროფი თალაკვაძის სახელობის“ ჯილდო.

ჯილდო და საჩუქარი ჩვენი თეატრისაგან იუბილარს სახლში მიართვეს ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატმა ვასო ჩიგოგიძემ და თეატრის დირექტორმა, მსახიობმა ზაზა ჯინჭარაძემ.

ბატონმა ვასომ ჯილდოსთან ერთად იუბილარს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელის,




ბატონი გიორგი გეგეჭკორის მილოცვაც გადასცა და წარმატებები და საუკეთესო წლები უსურვა.

ბატონმა ზაზა ჯინჭარაძემ მილოცვასთან ერთად აღნიშნა ოზურგეთის თეატრის დიდ ოჯახში ბატონი ჯემალის ოჯახის სრული ჩართულობა და დიდი სიყვარული: თეატრში მუშაობს მეუღლე - ქალბატონი ნანული, მსახიობია ქალიშვილი - თეა, ჩვენს სცენაზე უთამაშიათ შვილიშვილებს - სალომეს და მარიამს.

*„- დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ. თეატრი ჩემთვის ყველაფერია, ოცნება, სუნთქვა... არ წარმომიდგენია მის გარეშე, მესიზმრება კიდეც. არ მოველოდი თუ დღეს ამ უდიდეს სიხარულს მომანიჭებდით“*- განაცხადა ბატონმა ჯემალ კეჭაყმაძემ.

**ლია კილაძე,**
ოზურგეთის თეატრის
პრესსამსახური

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +12+20 | მზე ღრუბელი +13+22 | მზე ღრუბელი +14+24 | წვიმა +12+20 | წვიმა +8+14 | წვიმა +4+9 | წვიმა +14+9 |
| 22 ოქტომბერი | 23 ოქტომბერი | 24 ოქტომბერი | 25 ოქტომბერი | 26 ოქტომბერი | 27 ოქტომბერი | 28 ოქტომბერი |
| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |